

სემინარის მოხსენება ეხება გაერთიანებათა სრული  $X$ -ნახევარმესერებით განსაზღვრულ ბინარულ მიმართებათა სრულ  $B_X(D)$  ნახევარჯგუფებს. განხილული იქნება აღნიშნული ნახევარჯგუფების ზოგადი თვისებები და მიღებული შედეგები. კერძოდ, საუბარი იქნება  $B_X(D)$  ნახევარჯგუფებში მარცხნიდან და მარჯვნიდან გაყოფადობის საკითხებზე. მიღებული იქნება მარცხენა და მარჯვენა განაყოფის პოვნის ხერხები. განხილული იქნება XI-ნახევარმესერები. ნაჩვენები იქნება, რომ ნახევარჯგუფს გააჩნია მარჯვენა ერთეული მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მისი განმსაზღვრელი ნახევარმესერი არის XI-ნახევარმესერი. აღწერილი იქნება ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეულები და ასევე უდიდესი მარჯვენა ერთეულები. მოცემული იქნება ნახევარჯგუფის იდემპოტენტური და რეგულარული ელემენტების აუცილებელი და საკმარისი პირობები. სასრული ნახევარჯგუფებისათვის მოცემული იქნება მარჯვენა ერთეულების, იდემპოტენტური და რეგულარული ელემენტების რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულები. აღწერილი იქნება ნახევარჯგუფის მაქსიმალური ქვეჯგუფები. განხილული იქნება გარე და შიგა ელემენტები. დახასიათებული იქნება  $\Sigma_2(X, 5)$  კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული  $B_X(D)$  ნახევარჯგუფების იდემპოტენტური ელემენტები. სასრული ნახევარჯგუფებისათვის მოცემულია მათი რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულები. საუბარი იქნება ნახევარჯგუფთა წარმომქმნელ სიმრავლეებზე, კერძოდ, განხილული იქნება სასრული ჯაჭვებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების დაუყვანადი წარმომქმნელი სიმრავლეები.